კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი

შესავალი

2019 წელს მიღებული და 2020 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სატელევიზიო მაუწყებლებს, საკანონმდებლო დონეზე გაუჩნდათ ბავშვთა უფლებების დაცვის დამატებითი ვალდებულებები. კერძოდ, „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 66-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მაუწყებელი ვალდებული გახდა უზრუნველყოს ბავშვის დაცვა მისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის გავლენისგან. მაუწყებელს ასევე დაეკისრა ვალდებულება გამოიყენოს სამაუწყებლო პროგრამათა კლასიფიკაციის კრიტერიუმები ამ პროგრამების კატეგორიების დასადგენად, და განათავსოს ეს პროგრამები სამაუწყებლო ბადეში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესების დაცვით. ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის გავრცელებაზე ზედამხედველობის უფლებამოსილება გადაეცა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.

ცვლილებების მიზნად განსაზღვრულია ბავშვის ინტერესების დაცვა მედიასივრცეში, რომლის ფარგლებშიც დადგენილია მასმედიის საშუალებებზე ხელმისაწვდომობის სამართლებრივი შეზღუდვები. შეზღუდვებს საფუძვლად უდევს ბავშვის ასაკობრივი ზღვარი და დღე-ღამის კონკრეტული დროის მონაკვეთი. სამაუწყებლო კომპანიები ვალდებულნი არიან ფილმების და გასართობი პროგრამების მაუწყებლობა შესაბამისი ასაკობრივი ნიშანდების საფუძველზე გასწიონ.

კერძოდ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია სამაუწყებლო ბადე დაგეგმოს შემდეგი შეზღუდვების გათვალისწინებით: ა) 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი პროგრამა სამაუწყებლო ბადეში არ განათავსოს 6 საათიდან 24 საათამდე; ბ) 15 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი პროგრამა სამაუწყებლო ბადეში არ განათავსოს 6 საათიდან 23 საათამდე; გ) 12 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი პროგრამა სამაუწყებლო ბადეში არ განათავსოს 6 საათიდან 21 საათამდე; დ) 7 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი პროგრამა სამაუწყებლო ბადეში არ განათავსოს 6 საათიდან 21 საათამდე.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებლად მიიჩნევა პროგრამა (ანონსი), რომელიც შეიცავს: ა) სქესობრივი აქტის, სექსუალური სცენის ან სექსუალური ძალადობის სცენის გრაფიკულ გამოსახულებას; ბ) ისეთი სექსუალური ურთიერთობის ამსახველ სცენას, რომელშიც არასრულწლოვანი მონაწილეობს ან რომელიც გაუკუღმართებული ფორმით ხორციელდება; გ) უხამს ქმედებას ან/და ისეთ ძალადობრივ ან სახიფათო ქმედებას, რომლის იმიტირება არასრულწლოვნისთვის იოლია; დ) ძალადობის ამსახველ სცენას ახლო ხედით (გარდა შემეცნებით-საგანმანათლებლო, ისტორიული, ფანტასტიკური ან

კომედიური ჟანრის პროგრამისა); ე) ნარკოტიკული საშუალების მოხმარების სცენას, მისი დამზადების ან მოხმარების წესის ახსნა-განმარტებას და მოხმარების გამართლებას ან მოწონებას; ვ) თამბაქოს ან ალკოჰოლის მოხმარების გამართლებას ან მოწონებას; ზ) ნარკოტიკის, საინექციო ხელსაწყოს, ნარკოტიკული ნივთიერების მომზადების ტექნოლოგიის ან გამოყენების პროცესის ახსნა-განმარტებას; თ) სცენას, რომელიც ეწევა თვითდასახიჩრების ან თვითმკვლელობის პროპაგანდას, აღწერს თვითმკვლელობის პროცესს ან საშუალებას; ი) იოლად ხელმისაწვდომი საყოფაცხოვრებო იარაღის (დანა, ნაჯახი და სხვ.) ზიანის მისაყენებლად ან მკვლელობისთვის გამოყენების ამსახველ სცენას; კ) აზარტული თამაშობის ამსახველ სცენას, მისი პოპულარიზაციის ხელშემწყობ ინფორმაციას და ეწევა აზარტულ თამაშობაში მონაწილეობის პროპაგანდას მოგების მარტივად მიღების შთაბეჭდილების შექმნით; ლ) ინფორმაციას, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებას დადებითად აფასებს ან კრიმინალს აიდეალებს; მ) ოკულტიზმის ან მსგავსი მოვლენის ამსახველ მასალას.

კანონის თანახმად, გარდა ზემოჩამოთვლილისა, 15 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებლად მიიჩნევა პროგრამა (ანონსი), რომელიც შეიცავს: ა) სიშიშვლეს სექსუალურ კონტექსტში, სექსუალურ სცენას ან მის გრაფიკულ გამოსახულებას; ბ) შეურაცხმყოფელ ლექსიკას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს კონტექსტით გამართლებულია; გ) ტერმინოლოგიას, რომელიც დაკავშირებულია ნარკოტიკულ საშუალებასთან ან მის მოხმარებასთან.

12 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებლად დამატებით მიიჩნევა პროგრამა (ანონსი), რომელიც შეიცავს შეურაცხმყოფელ ლექსიკას.

ხოლო 7 წლამდე არასრულწლოვნისთვის, გარდა ზემოჩამოთვლილისა, შეუფერებლად მიიჩნევა მხატვრული, დოკუმენტური ან მულტიპლიკაციური ფილმი, რომელიც შეიცავს ამ ასაკობრივ ჯგუფზე ძლიერი ემოციური (ნეგატიური) გავლენის მომხდენი შინაარსის მქონე სცენას ან სიუჟეტს.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მაუწყებლების მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია ვალდებულია საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე განიხილოს შესაბამისი დარღვევის საკითხი.

ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კომისია, სხვა შემთხვევისგან განსხვავებით, კანონმდებლობით არ არის უფლებამოსილი შემოიფარგლოს მხოლოდ გაფრთხილებით, არამედ, ვალდებულია მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა და შესაბამისი დარღვევის აღმოფხვრის ვალდებულება, თუ მისი აღმოფხვრა, დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია. უფრო კონკრეტულად, კომისია უფლებამოსილია მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა არა უმეტეს მისი წლიური შემოსავლის 0,5%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2500 ლარისა. 1 წლის განმავლობაში განმეორებით დარღვევის შემთხვევაში, კანონი პასუხისმგებლობის სახედ ითვალისწინებს ჯარიმას არაუმეტეს პირის წლიური შემოსავლის 1%-ისა, მაგრამ არანაკლებ 5000 ლარისა.

კვლევის მიზანი

განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით არაერთი კრიტიკული მოსაზრება გამოითქვა. მათ შორის, კონკრეტულმა მაუწყებლებმა GDI-ს წარმომადგენლობით საკონსტიტუციო სასამართლოსაც მიმართეს ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით.[1] მათი მტკიცებით, სადავო ნორმები, სხვა საკითხებთან ერთად, ვერ აკმაყოფილებს ნორმის განჭვრეტადობის მოთხოვნებს, და მათთვის შეუძლებელია წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რა ტიპის სატელევიზიო პროდუქციის სატელევიზიო ეთერში გაშვება შეიძლება ჩაითვალოს კანონის დარღვევად. ამავე დროს, მათი შეფასებით, საკანონმდებლო ნორმები მომეტებულ ტვირთს აკისრებს მაუწყებლებს, რითაც ილახება მათი გამოხატვის თავისუფლება.

საკანონმდებლო დონეზე არსებული ზოგადი, განუჭვრეტადი ნორმების პრობლემას ასევე ამძაფრებს ის გარემოება, რომ ამ დროისთვის არ არსებობს კომუნიკაციების კომისიის მიერ მკვეთრად ჩამოყალიბებული განმარტებები და სტანდარტები კანონით განსაზღვრულ ცნებებთან მიმართებით.

ამ კვლევის ფარგლებში შესწავლილი კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებები აჩვენებს, რომ კომისია თავს არიდებს ზოგადი სტანდარტების ჩამოყალიბებას და ძირითადად შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული გადაწყვეტებით, კონკრეტული სატელევიზიო პროდუქციის ასაკობრივ ჯგუფთან შეუთავსებლობასთან დაკავშირებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებულ გადაწყვეტილებებში კომისია არ მსჯელობს, თუ რატომ ექცევა ან არ ექცევა კონკრეტული სადავო კონტენტი ამა თუ იმ აკრძალული ცნებების კატეგორიაში, არამედ, მკაფიო დასაბუთების გარეშე წყვეტს, არის თუ არა მაუწყებლის მიერ სატელევიზიო ბადეში გაშვებული ესა თუ ის პროგრამა საკანონმდებლო რეგულირებების დამრღვევი. ამგვარი გადაწყვეტილებები ვერ აყალიბებს ზოგად სახელმძღვანელო სტანდარტებს მაუწყებლებისთვის და მათ მომავალშიც გაუჭირდებათ იმის განსაზღვრა, თუ რა ტიპის სატელევიზიო პროდუქციის გაშვებას შეიძლება მოჰყვეს მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მიუხედავად ამისა, კვლევის ფარგლებში, მაინც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დეტალურად გაანალიზდეს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და გამოიყოს ის სტანდარტები, რომლებზეც კომისიამ განმარტებები გააკეთა, იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ამის შესაძლებლობას კომისიის გადაწყვეტილებები იძლევა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმოხილვა

საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებიდან დღემდე, ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის გავლენისგან ბავშვის დაცვის საკითხთან დაკავშირებით,

[1]კონსტიტუციური სარჩელი: შპს „მთავარი არხი“, შპს „ტელეკომპანია პირველი“, შპს „ტელეკომპანია კავკასია“, შპს „ფორმულა“, ირაკლი საღინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ- https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10119

კომისიას სულ 8 საქმე აქვს განხილული. კვლევაში ყურადღება გამახვილდება თითოეულ მათგანზე, მათში წამოჭრილ ძირითად სამართლებრივ საკითხებზე და კომისიის გადაწყვეტილებებზე.

1) **შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის და შპს „ჯი-დი-ეს თი-ვის“ წინააღმდეგ ალექსანდრე მახაშვილის, გიორგი გოცირიძის და შორენა თოფურიას საჩივრის განხილვისა და შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-სა და შპს „ჯი-დი-ეს თი-ვისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე**[2]

2020 წლის 3 დეკემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში კომუნიკაციების კომისიამ დაადგინა, რომ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის მიერ სამაუწყებლო არხ „მარაოს“ ეთერში განთავსებული მხატვრული ფილმები, „ვიოლეტი და დეიზი“ და „ის მოგდევს“ („It Follows“), 18 წლამდე არასრულწლოვნებისთვის შეუფერებლად მიჩნეულ სცენებს შეიცავდა. კერძოდ, ორივე მხატვრული ფილმი შეიცავდა ძალადობის ამსახველ სცენებს ახლო ხედით და ისეთ ძალადობრივ ან სახიფათო ქმედებას, რომლის იმიტირება არასრულწლოვნისთვის იოლია. მხატვრული ფილმი, „ის მოგდევს“ („It Follows“), ასევე შეიცავდა 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებლად მიჩნეულ სცენას, როგორიცაა სქესობრივი აქტის გრაფიკული გამოსახულება. ამასთანავე, სამაუწყებლო არხ „მარაოს“ ეთერში განთავსებული ფილმი „განვიხილოთ ჰარი“ (“Deconstructing Harry”) შეიცავდა 15 წლამდე არასრულწლოვნებისთვის შეუფერებლად მიჩნეულ სექსუალურ სცენას, კერძოდ, სქესობრივი აქტის სიტყვიერ აღწერას. აქვე კომისია აღნიშნავს, რომ 15 წლამდე არასრულწლოვნისთვის კანონი შეუფერებლად მიიჩნევს სექსუალური აქტის, როგორც გრაფიკულ გამოსახულებას, ასევე, მის ვერბალურ აღწერასაც.

<u>მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონი 15 წლამდე არასრულწლოვნი პირებისთვის შეუფერებელ პროგრამად პირდაპირ არ მიუთითებს სექსუალური აქტის ვერბალურ აღწერას, თუმცა კომისიამ აღნიშნული შინაარსი ამოიკითხა კანონის ჩანაწერში, რომელიც კრძალავს სიშიშვლეს სექსუალურ კონტექსტში, სექსუალურ სცენას ან მის გრაფიკულ გამოსახულებას. ხაზგასასმელია რომ გადაწყვეტილება ამ კუთხით დასაბუთებული არ არის და არ არის ახსნილი თუ რატო ექცევა კანონის ამ დეფინიციაში სექსუალური აქტის ვერბალური აღწერა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კომისიამ თავისი განმარტებით, გააფართოვა ნორმით დადგენილი შეზღუდვის ფარგლები ისე, რომ ამის სათანადო დასაბუთება გადაწყვეტილებაში საერთოდ არ არის მითითებული.</u>

კომისია აღნიშნავს რომ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის მიერ ზემოაღნიშნული ფილმები განთავსებულია აკრძალულ დროს, კერძოდ, 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი ფილმები განთავსებულია 6 საათიდან 24 საათამდე პერიოდში, ხოლო 15 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი ფილმი - 6 საათიდან 23 საათამდე პერიოდში. ამასთანავე, არცერთ ფილმს არ აქვს მინიჭებული შესაბამისი კატეგორია/ასაკობრივი ნიშანდება.

კომისია ასევე მიუთითებს, რომ შპს „ჯი-დი ეს თივის“ მიერ ეთერში განთავსებული სერიალები „ანტიმაფია“, „კრიმინალური აზროვნება“ და „დაკარგულები“ შეიცავენ, 18

[2] გადაწყვეტილება https://comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2020--20-16-891.page

წლამდე არასრულწლოვნებისთვის შეუფერებლად მიჩნეულ სცენებს, კერძოდ, ძალადობის ამსახველ სცენებს ახლო ხედით და ისეთ ძალადობრივ ან სახიფათო ქმედებას, რომლის იმიტირება არასრულწლოვნისთვის იოლია, ხოლო სერიალი „ძვლები“ შეიცავს ძალადობის ამსახველ სცენებს ახლო ხედით.

შპს „ჯი-დი ეს თი-ვის“ მიერ ეთერში განთავსებული სერიალი „ანტიმაფია“ კომისიის შეფასებით, შეიცავს 18 წლამდე არასრულწლოვნებისთვის შეუფერებლად მიჩნეულ სცენებს, კერძოდ, თვითმკვლელობის ამსახველ სცენებს და სექსუალური სცენის გრაფიკულ გამოსახულებას, ხოლო სერიალი „მზარეულები“ შეიცავს 12 წლამდე არასრულწლოვნებისთვის შეუფერებელ სცენას, კერძოდ, შეურაცხმყოფელ ლექსიკას. კომისია აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული სერიალები შპს „ჯი-დი-ეს თი-ვის“ მიერ ეთერში განთავსებულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალულ დროს, კერძოდ, 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი სერიალები განთავსებულია 6 საათიდან 24 საათამდე პერიოდში, ხოლო 12 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი სერიალი - 6 საათიდან 21 საათამდე პერიოდში. ამასთანავე, 18 წლამდე შეუფერებელი ფილმებისთვის შპს „ჯი-დი-ეს თი-ვის“ მინიჭებული აქვს შეუსაბამო კატეგორია/ნიშანდება.

ამავე საქმეში კომისიის მიერ ასევე განიმარტა, რომ ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის გავლენისგან ბავშვის დაცვის საკანონმდებლო ნორმები არ ვრცელდება მაუწყებლის ეთერში გასულ რეკლამებზე. კერძოდ, კომისია აღნიშნავს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის ვალდებულებები მაუწყებლის ეთერში განთავსებული პროგრამების კატეგორიზაციისა და სამაუწყებლო ბადის აღნიშნული კატეგორიების გათვალისწინებით დაგეგმვის შესახებ, მხოლოდ პროგრამებზე ან/და ანონსებზე ვრცელდება, ხოლო პროგრამა განიმარტება როგორც პირდაპირ ან ჩანაწერის მეშვეობით ეთერში განთავსებული ტელერადიოპროდუქცია. რადგანაც რეკლამა, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონით დადგენილი განმარტების თანახმად, არ წარმოადგენს პროგრამას, არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნით კანონით დადგენილი შეზღუდვები რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე არ ვრცელდება.

დარღვევისთვის გათვალისწინებულ სანქციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ კომისიას არ აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, მაუწყებელს არასრულწლოვანთათვის შეუფერებელი პროგრამების განთავსების დროითი შეზღუდვებისა და ამ პროგრამებისთვის შესაბამისი კატეგორიისა და აღმნიშვნელი ნიშნის მინიჭების წესის დარღვევისთვის მაუწყებელს მისცეს წერილობითი გაფრთხილება ან გაათავისუფლოს ის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან.

ამასთანავე, კომისია აღნიშნავს, რომ კანონი არასრულწლოვანთათვის შეუფერებელი პროგრამების განთავსების წესთან დაკავშირებით, 2020 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა. შესაბამისად, კომისიას, გადაწყვეტილება მსგავსი/იდენტური სამართალდარღვევის ჩადენისთვის, მაუწყებლების მიმართ აქამდე არ მიუღია. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მაუწყებლებს, სამაუწყებლო ბადეების „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალ მოთხოვნებთან მისასადაგებლად, გარკვეული დრო სჭირდებათ. ამ და სხვა გარემოებების გათვალისწინებით,

დარღვევისთვის კომისიამ გამოიყენა კანონით გათვალისწინებული ჯარიმის მინიმალური ოდენობა - 2500 ლარი.

2) **შპს „ფორმულასათვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე**[3]

2020 წლის 31 დეკემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში კომისია ადგენს, რომ შპს „ფორმულას“ ეთერში განთავსებული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ მოიცავს ბილწსიტყვაობის შემცველ სცენებს. კერძოდ, შეურაცხმყოფელი ლექსიკა გამოყენებულია ეპიზოდებში, რომლებიც მაუწყებლის ეთერში განთავსდა.

კომისია აღნიშნავს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შეურაცხმყოფელი ლექსიკის შემცველი პროგრამა 15 წლამდე არასრულწლოვანთათვის შეუფერებლადაა მიჩნეული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გამოყენება კონტექსტით გამართლებულია. კომისია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, პროგრამაში შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენება განპირობებულია პროგრამის პერსონაჟის მახასიათებლითა და ნაწარმოების მხატვრული ღირებულებით, რაც გამოყენებული ტერმინების კონტექსტით გამართლების საფუძველია.

თუმცა, კომისია ასევე მიუთითებს, რომ კანონი შეურაცხმყოფელ ლექსიკას, მათ შორის, კონტექსტით გამართლებულს, 12 წლამდე არასრულწლოვანთათვის შეუფერებლად მიიჩნევს. 12 წლამდე ასაკის პირთათვის შეუფერებელი ლექსიკა კი 21 საათის შემდეგ უნდა განთავსდეს, რაც ამ შემთხვევაში დარღვეული იყო.

ამასთანავე, კომისიის განმარტებით, მაუწყებლები ვალდებულნი არიან მოახდინონ ფილმების კლასიფიკაცია მათთვის კატეგორიისა და შესაბამისი აღმნიშვნელი ნიშნის მინიჭებით. შპს „ფორმულას“ მიერ განთავსებულ სერიალს, „ჩემი ცოლის დაქალები“, მაუწყებლის მიერ მინიჭებული აქვს უნივერსალური კატეგორია, მაშინ როდესაც პროგრამა 12 წლამდე პირებისათვის შეუფერებელ კატეგორიაში ექცევა.

შესაბამისად, კომისია ასკვნის, რომ შპს „ფორმულამ“ დაარღვია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი არასრულწლოვანთათვის შეუფერებელი პროგრამების კანონმდებლობით აკრძალულ დროსა და ასაკობრივი ნიშანდების წესების დარღვევით განთავსების გამო. დარღვევისთვის კომისიამ გამოიყენა კანონით გათვალისწინებული ჯარიმის მინიმალური ოდენობა - 2500 ლარი.

ხაზგასასმელია, რომ გადაწყვეტილებაში არ არის განმარტებული თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით მივიდა კომისია იმ დასკვნამდე, რომ პროგრამა შეიცავდა შეურაცხმყოფელ ლექსიკას, შესაბამისად გადაწყვეტილებაში ამ მიმართულებით არ არის დადგენილი ზოგადი სტანდარტები, რომელიც მაუწყებლებს მომავალში დაეხმარებოდა კანონის შინაარსის ზუსტ განმარტებაში.

[3] გადაწყვეტილება https://comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2020--20-18-966.page

3) შპს „ჯი-დი-ეს თი-ვისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განხილვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება[4]

2021 წლის 28 იანვარს მიღებულ გადაწყვეტილებაში კომისიამ დაადგინა, რომ შპს „ჯი-დი-ეს თი-ვის“ მიერ ეთერში განთავსებული მხატვრული ფილმი „მამაცი გული“ (Brave Heart) შეიცავს 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებლად მიჩნეულ სცენებს, კერძოდ, ძალადობის ამსახველ სცენებს ახლო ხედით და ისეთ ძალადობრივ ან სახიფათო ქმედებებს, რომლის იმიტირება არასრულწლოვნისთვის იოლია, ასევე, სექსუალური და სექსუალურ კონტექსტში სიშიშვლის ამსახველ სცენას, რაც 15 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელ სცენადაა მიჩნეული.

კომისიის განმარტებით, იმ შემთხვევაში, როდესაც ფილმი შეიცავს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის შეუფერებელ შინაარსს, ფილმს უნდა მიენიჭოს ყველაზე მაღალი ასაკობრივი განსაზღვრული კატეგორია და განთავსდეს შესაბამის დროის შუალედში. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, ფილმი 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებლად უნდა მიიჩნეოდეს.

კომისიის შეფასებით, მაუწყებელმა აღნიშნული ფილმი ეთერში„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის დადგენილი დროითი შეზღუდვის დარღვევით განათავსა, კერძოდ, 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი ფილმი განთავსებულია 6 საათიდან 24 საათამდე პერიოდში. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ შპს „ჯი-დი-ეს თი-ვის“ მიერ ფილმი ნიშანდებულია როგორც 12 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი, მაუწყებელმა ფილმი განათავსა 18:15 სთ-ზე, მაშინ, როდესაც 12 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი ფილმის 6 საათიდან 21 საათამდე განთავსება დაუშვებელია.

დარღვევისთვის გამოყენებულ სანქციასთან დაკავშირებით, კომისია აღნიშნავს, რომ იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ჯი-დი-ეს თი-ვი“ აღიარებს სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, ასევე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი პროგრამების განთავსების წესთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებები 2020 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა და შესაბამისად, მაუწყებლებს გარკვეული დრო სჭირდებათ სამაუწყებლო ბადეების „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან მისასადაგებლად, შპს „ჯი-დი-ეს თი-ვის“ მიმართ გამოყენებულ იქნას ერთ წლის განმავლობაში ხელმეორედ დარღვევისთვის კანონით გათვალისწინებული ჯარიმის მინიმალური ოდენობა - 5 000 ლარი.

ხაზგასასმელია, რომ გადაწყვეტილებაში არ არის განმარტებული თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით მივიდა კომისია იმ დასკვნამდე, რომ კონკრეტული პროგრამა წარმოადგენდა კანონით აკრძალულ ძალადობის ამსახველ სცენებს ახლო ხედით და ისეთ ძალადობრივ ან სახიფათო ქმედებებს, რომლის იმიტირება არასრულწლოვნისთვის იოლია, ასევე, სექსუალური და სექსუალურ კონტექსტში სიშიშვლის ამსახველ სცენას. შესაბამისად გადაწყვეტილებაში ამ მიმართულებით არ არის დადგენილი ზოგადი

[4] გადაწყვეტილება - https://comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2021--21-18-36.page

სტანდარტები, რომელიც მაუწყებლებს მომავალში დაეხმარებოდა კანონის ამ ცნებების ზუსტ განმარტებაში.

4) შპს „ალტ ინფოსთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე [5]

2021 წლის 15 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებაში, კომისიამ განმარტა, რომ შპს „ალტ ინფოს“ ეთერში განთავსებულ პროგრამაში ხდებოდა ბავშვზე ფიზიკური ძალადობის და ზოგადად ძალადობის გამართლება და დადებითად შეფასება. კერძოდ, პროგრამაში გამოყენებული იყო შემდეგი გამონათქვამები:

„ბო**ბას და სექსუალურ გარყვნილებას თუ არ ერქვა თავის სახელი და სოციუმმა ბულინგი არ ახორციელა მაგაზე, ვაბშე ძალადობაზე ვიღაცა რო გამოხტება და ძალადობა აპრიორი არის საშინელება... ეგეთი გამო*ირებული გათვალისწინებული არ უნდა იყოს... აი, მაგალითად, ჩემმა შვილმა დენის რაზეტკაში ჩანგალი რო ურჭოს და რო უთხრა არ აკეთოო და კიდე და კიდე მაინც აკეთებს, ვცემ, ვცემ, იმიტომ რომ შეეშინდეს“; „ძალადობა არის რაღაც შემთხვევებში, არის ზრუნვის აუცილებელი ნაწილი...“; „აუცილებელი პრევენციის საშუალებები, რაც არის ბულინგი ამორალობის, ბო**ბის, ავხორცობის, მათ შორის, სექსუალური პერვერსიების მიმართ ბულინგი, ძალიან კარგი რაღაცაა, უმნიშვნელოვანესი რაღაცაა...“; „მანდ არის ძალიან მარტივად საკითხი... მარტო ორი არჩევანი თუ არის, ან 13 წლის გოგოებს გააუპატიურებენ ან მაგისი ცემის საშუალება უნდა იყოს, შენ რომელი გირჩევნია?!... მე მეტი კითხვა არ მაქვს, ან მშობელს ბავშვის ცემის უფლება უნდა ჰქონდეს ან იმ ბავშვს ვიღაცა მერე იხმ**ს...“; „რას ბოდიალობთ, რომელი ადგება და იტყვის, რომ მშობელს არასდროს არ უცემია... რავი, ყური არ აუწევია, კუთხეში არ დაუყენებია, არ დაუყვირია... მშობელს ყველაზე მეტად უყვარს თავისი შვილი და მაგას ყველაზე მეტად მშობელი ერიდება, რომ ზედმეტი არ გააკეთოს, მაგრამ აბა რა ქნას, რაღაც მომენტში იძულებულია...“

კომისიის შეფასებით, შპს „ალტ ინფოს“ ეთერში გადაცემული პროგრამა შეიცავს ინფორმაციას და მოსაზრებებს, რომლებიც, ცალკეულ შემთხვევებში (მაგალითად, არასრულწლოვნის აღზრდის მიზნით), ამართლებს და დადებითად აფასებს ქმედებებს, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე მუხლების მიხედვით დანაშაულად არის კვალიფიცირებული. შესაბამისად, პროგრამაში დადებითად არის შეფასებული დანაშაული, რასაც „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი 18 წლამდე არასრულწლოვანთათვის შეუფერებელ პროგრამად მიიჩნევს.

კომისიის შეფასებით, არასრულწლოვნებზე ფიზიკური ძალადობისა და, ზოგადად, ფიზიკური ძალადობის დადებითად შეფასება განსაკუთრებულ საფრთხეს შეიცავს 18 წლამდე ასაკის პირების ნორმალური ფიზიკური, ფსიქიკური და მორალური განვითარებისათვის. არსებობს საფრთხე, რომ არასრულწლოვნებმა საზოგადოებრივად მისაღებ, მოსაწონ ან დასაშვებ ქმედებად მიიჩნიონ ფიზიკური ძალადობა. იგი, ერთი

[5] გადაწყვეტილება - https://comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2021--21-18-236.page

მხრივ, ახალისებს არასრულწლოვნების მიერ ძალადობის ჩადენას და, მეორე მხრივ, აფერხებს არასრულწლოვნებზე ძალადობის აღკვეთას და ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნების ეფექტიან დაცვას, ვინაიდან, შესაძლოა, არასრულწლოვნებმა აღარ მოინდომონ ფიზიკური ძალადობის ფაქტების გახმაურება და შესაბამისი ორგანოებისათვის შეტყობინება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ დაადგინა, რომ შპს „ალტ ინფოს“ ეთერში 180-დან 24 საათამდე შუალედში განთავსდა 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი პროგრამა. შესაბამისად, მაუწყებელმა დაარღვია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნა. დარღვევისთვის კომისიამ გამოიყენა კანონით გათვალისწინებული ჯარიმის მინიმალური ოდენობა - 2500 ლარი.

5) შპს „ფორმულას“ წინააღმდეგ გიგა გუდაძის, ბესარიონ წულაიას, გიორგი გოცირიძის და მამია გრიგოლიას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე[6]

2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებაში, კომისიამ განმარტა, რომ შეურაცხმყოფელი ლექსიკის შემცველი პროგრამა 15 წლამდე არასრულწლოვანთათვის შეუფერებლადაა მიჩნეული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გამოყენება კონტექსტით გამართლებულია.

მოცემულ შემთხვევაში, გადაცემაში, „დროება“, გასულ სიუჟეტში მსახიობმა შოთა ნოზაძემ დააანონსა სერიალის, „ჩემი ცოლის დაქალები“ ახალი სეზონის დაწყება და მაყურებელს სერიალის ყურებისკენ მოუწოდა. მოწოდებისას მსახიობმა განასახიერა საკუთარი პერსონაჟი - თენგო მაზიაშვილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სპეციფიკური ლექსიკისა და ტერმინოლოგიის გამოყენება. კომისიის შეფასებით, სიუჟეტის სადავო ნაწილში გაკეთებული მიმართვის ავტორი სწორედ მხატვრული ნაწარმოების - სერიალის პერსონაჟს განასახიერებდა ამავე სერიალის დასაანონსებლად.

აქედან გამომდინარე, <u>კომისიამ მიიჩნია, რომ პროგრამაში შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენება განპირობებულია პროგრამის პერსონაჟის მახასიათებლითა და ნაწარმოების მხატვრული ღირებულებით, რაც გამოყენებული ტერმინის კონტექსტით გამართლების საფუძველია.</u>

მნიშვნელოვანია, რომ კომისიის შეფასებით, კანონი შეურაცხმყოფელ ლექსიკას, მათ შორის, კონტექსტით გამართლებულს, 12 წლამდე არასრულწლოვანთათვის შეუფერებლად მიიჩნევს. 12 წლამდე ასაკის პირთათვის შეუფერებელი ლექსიკა 21 საათის შემდეგ უნდა განთავსდეს. მითითებული სიუჟეტი კი მაუწყებლის ეთერში 22:07 საათზე განთავსდა. აქედან გამომდინარე, კომისიის დასკვნით, მაუწყებლის მიერ დაცული იყო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები.

6) ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე[7]

---

[6] გადაწყვეტილება - https://comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2021--21-16-268.page

[7] გადაწყვეტილება - https://comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2021--21-18-337.page

2021 წლის 23 აპრილს, 22:30 საათზე, ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში განთავსებულ გადაცემაში, „სტუდია №8“, ნაჩვენები იყო ადამიანების წამების და გაუპატიურების კადრები. ეს კადრები ეთერში განთავსდა 23:00-დან – 23:05 საათამდე პერიოდში. გადაცემის მსვლელობისას, წამყვანმა აღნიშნა: „...გაჩნდა ახალგაზრდა ხალხი, ვინც მწამებლების აქციაზე დადის და ჰგონიათ, რომ ადამიანის უფლებებს იცავენ“. ამას მოჰყვება ქუჩაში გამოკითხვა, სადაც კორესპონდენტი სვამს შემდეგი შინაარსის კითხვას: „პატიმართა წამების კადრები გაქვთ ნანახი?“. თითქმის ყველა გამოკითხული პასუხობს, რომ ინფორმაციას არ ფლობს ამ დანაშაულის შესახებ. ასევე, გადაცემის მსვლელობისას წამყვანი ამბობს: „...აი, რატომ გადავწყვიტე დღეს პატიმრების წამების კადრების ჩვენება. საზოგადოებას მინდა გავახსენო და ახალ თაობასაც მინდა ვაჩვენო, რა ბოროტებასთან გვქონდა საქმე. გთხოვთ, ტელეეკრანს მოარიდოთ ბავშვები და არასრულწლოვნები. ვიმეორებ, გთხოვთ, ტელეეკრანს მოარიდოთ ბავშვები და არასრულწლოვანი ახალგაზრდები. სრულწლოვანი ახალგაზრდები კი უნდა დაფიქრდნენ, რატომ დაისაჯა მხოლოდ რამდენიმე კაცი, პირველი პირები კი გადარჩნენ. საზოგადოების დიდი ნაწილიც ამაზე უნდა დაფიქრდეს...“ გადაცემის მსვლელობისას ადამიანების წამების და გაუპატიურების კადრებს ადევს ნიშანდება - „18+“ წრეში, ვიდეომასალაში ხმა შეცვლილია.

ამ საკითხზე 2021 წლის 3 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილებაში, კომისია განმარტავს, რომ ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივის“ მიერ, ეთერში, პროგრამის ფარგლებში, ძალადობისა და გაუპატიურების ამსახველი სცენების ჩვენებით, უგულებელყოფილია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი პროგრამა განთავსდა 6 საათიდან 24 საათამდე პერიოდში, კერძოდ 23:00 საათიდან – 23:05-საათამდე პერიოდში, რითაც ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივი“ არღვევს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონს.

<u>მნიშვნელოვანია, რომ კომისიამ არ გაიზიარა მაუწყებლის არგუმენტაცია მასალის გაშვებაზე კანონით განსაზღვრული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შესახებ.[8] თუმცა, ამ კუთხით კომისიის გადაწყვეტილება დასაბუთებული საერთოდ არ არის და არ არის ახსნილი, თუ რატომ არ გადაწონიდა მეორე მხარეს არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, მასალის კონკრეტულ დროს გაშვებით გამოწვეულ ლეგიტიმური ინტერესების შესაძლო შეზღუდვას. მითუმეტეს, რომ კანონი ცალსახად მიუთითებს- თუ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, სამაუწყებლო ბადეში აკრძალული პროგრამა შეიძლება განთავსდეს სათანადო და მკაფიო გაფრთხილებით, რომ იგი შესაბამისი ასაკის არასრულწლოვნისთვის შეუფერებელ მასალას შეიცავს.</u>

კომისიამ სანქციის სახით, ისევე როგორც სხვა საქმეებში, კანონით განსაზღვრული მინიმალური ოდენობა - 2500 ლარიანი ჯარიმა გამოიყენა.

[8] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56[1] მუხლის მე-6 პუნქტი: „ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების მიუხედავად, თუ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, სამაუწყებლო ბადეში ასეთი პროგრამა შეიძლება განთავსდეს მხოლოდ სათანადო და მკაფიო გაფრთხილებით, რომ იგი შესაბამისი ასაკის არასრულწლოვნისთვის შეუფერებელ მასალას შეიცავს. გაფრთხილება მოიცავს სპეციალურ ვიზუალურ ნიშანდებას მასალის გადაცემისას განუწყვეტლად, აგრეთვე ტექსტურ და ვერბალურ გაფრთხილებას წინასწარ, მასალის გადაცემამდე“.

7) სს „მედია ჰოლდინგის“ წინააღმდეგ ფიზიკური პირის, თორნიკე მურღულიას საჩივრის განხილვის თაობაზე [9]

2021 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებაში კომისიამ შეაფასა იუმორისტულ გადაცემაში არასრულწლოვნების მიერ შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენება. კერძოდ, არასრულწლოვნები ანეკდოტების მოყოლისას იყენებენ შეურაცხმყოფელ ლექსიკას, თუმცა, უშუალოდ შეურაცხმყოფელი შინაარსის მქონე ტერმინები გადაფარული იყო სპეციალური სიგნალით, ამასთანავე, სიგნალთან ერთად, ანეკდოტის მთხრობელის პირის მოძრაობის დაფარვის მიზანით, გამოყენებული იყო გრაფიკული საშუალებაც.

კომისია გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ სადავო გადაცემა „კომედი არხის“ ეთერში განთავსებულია 21:30 საათიდან 22:00 საათამდე დროის მონაკვეთში. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დროის ამ მონაკვეთში არ უნდა განთავსდეს 12-დან 15 წლამდე არასრულწლოვანთათვის შეუფერებელი პროგრამა.

კომისიის შეფასებით, იმის გათვალისწინებით, რომ <u>შეურაცხმყოფელი ლექსიკის უშუალოდ გამოყენებას გადაცემაში ადგილი არ ჰქონდა, ვინაიდან იგი გადაფარული იყო, როგორც ხმოვანი ისე გრაფიკული საშუალებებით, სახეზე არ არის 12-დან 15 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისთვის შეუფერებელი პროგრამის განთავსების ფაქტი</u>. ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად, კომისიამ სს „მედია ჰოლდინგის“ წინააღმდეგ საჩივარი არ დააკმაყოფილა.

8) შპს „ტელეიმედის“ წინააღმდეგ მერი მელქაძის საჩივრის განხილვის თაობაზე [10]

<u>2021 წლის 12 აგვისტოს მიღებულ გადაწყვეტილებაში კომისიამ განმარტა, რომ ბავშვთა მავნე ზეგავლენისგან დამცავი კანონმდებლობა ვრცელდება, როგორც პირდაპირ, ასევე ჩანაწერის მეშვეობით ეთერში გადაცემულ ტელერადიოპროდუქციაზე და მოიცავს ნებისმიერი ტიპისა და კატეგორიის პროგრამას. გარდა ამისა, მაუწყებელს აქვს ვალდებულება, გაატაროს სათანადო ეფექტიანი და გონივრული ღონისძიებები, რათა აღიკვეთოს არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ინფორმაციის ეთერში გავრცელება, როგორც მაუწყებლის წარმომადგენლების (მაგალითად, წამყვანის), ისე - მესამე პირების (მაგალითად, რესპონდენტების) მიერ.</u>

საქმის ფაქტობრივი მონაცემების თანახმად, შპს „ტელეიმედის“ ეთერში, 15 ივნისს, 23:25 საათზე განთავსებულ გადაცემაში, „იმედის ფაქტორი“, მიწვეული სტუმარი - თეა დარჩია აკეთებს შემდეგ განცხადებას: „შეიძლება, მე არ უარვყოფ, რომ რომელიმე პედაგოგი, ან ძიძა, ან აღმზრდელი ამეტებს თავის შესაძლებლობებს და თავის ასე ვთქვათ უფლებებს, შესაძლებელია, ადამიანები ვართ და. ეგ კი არა, მე დედა ვარ და ჩემი შვილი ხანდახან ისე მამწარებს, რომ რითი გავეკიდო ხოლმე, აღარ ვიცი. ყველამ ვიცით, რომ კონფლიქტები სისხლსა და ხორცს შორისაც ხდება და, მითუმეტეს, ამხელა დაწესებულებაში ამდენი ბავშვით“.

კომისია აღნიშნავს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 18 წლამდე შეუსაბამოდ მიიჩნევა პროგრამა, თუ ის შეიცავს ინფორმაციას, რომელიც

[9] გადაწყვეტილება - https://comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2021--21-16-351.page
[10] გადაწყვეტილება - https://comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2021--21-16-475.page

დადებითად აფასებს დანაშაულებრივ ქმედებას ან აიდეალებს კრიმინალს. კომისიამ მიიჩნია, რომ რესპონდენტი ზემოაღნიშნული განცხადებით არ გამორიცხავს იმას, რომ ძალადობის ფაქტს შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი კონკრეტულ დაწესებულებაში, რაც გამყარებული აქვს იმ არგუმენტით, რომ ოჯახშიც ხშირია კონფლიქტი და მით უფრო შესაძლებელია, რომ ზემოაღნიშნულ დაწესებულებაშიც ხდებოდეს ანალოგიური დანაშაული, რაც არ ნიშნავს იმას, რომ განცხადების შინაარსი ატარებს დანაშაულებრივი ქმედების დადებითად შეფასების შინაარსს.

შესაბამისად, კომისიის შეფასებით, შპს „ტელეიმედის“ ეთერში გადაცემული პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით, არ იკვეთება, რომ სტუმარი დადებითად აფასებს ან აღმზრდელების მიერ, ან მშობლის მიერ არასრულწლოვნის წინააღმდეგ რომელიმე დანაშაულის ჩადენას. აქედან გამომდინარე, სადავო მონაკვეთი არ განეკუთვნება ისეთ პროგრამას, რომელიც 18 წლამდე ასაკისთვის შეუფერებელია და რომელიც ეთერში არ უნდა განთავსდეს 18-დან 24 საათამდე დროის შუალედში.

შესაბამისად, „ტელეიმედის“ წინააღმდეგ საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

დასკვნა:

როგორც კვლევამ აჩვენა, მარეგულირებელი კომისიის მიერ განხილული 8 საქმე მაუწყებლობის შესახებ კანონით განსაზღვრულ შემდეგ საფუძვლებს შეეხება: 1) ძალადობის ამსახველ სცენებს ახლო ხედით;[11] 2) ისეთ ძალადობრივ ან სახიფათო ქმედებას, რომლის იმიტირება არასრულწლოვნისთვის იოლია;[12] 3) სქესობრივი აქტის გრაფიკულ გამოსახულებას;[13] 4) სქესობრივი აქტის სიტყვიერ აღწერას;[14] 5) შეურაცხმყოფელ ლექსიკას;[15] 6) ინფორმაციას, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებას დადებითად აფასებს ან კრიმინალს აიდეალებს.[16] სხვა საფუძვლებთან მიმართებით კომისიას ჯერჯერობით გადაწყვეტილებები არ მიუღია და, შესაბამისად, ჯერჯერობით არც რაიმე სახის სტანდარტი არსებობს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მარეგულირებელი კომისიის მიერ, უკვე განხილულ საფუძვლებთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზიც ცხადყოფს, რომ კომისიას უჭირს კონკრეტული სტანდარტების ჩამოყალიბება კანონით გათვალისწინებულ ზოგად და, რიგ შემთხვევაში, ბუნდოვან ცნებებთან დაკავშირებით. ამიტომაც, იგი, როგორც წესი, აფასებს კონკრეტულ სადავო სატელევიზიო პროდუქციას და ძირეული დასაბუთების, განმარტების გარეშე წყვეტს, ექცევა თუ არა სადავო კონტენტი კანონით განსაზღვრულ დეფინიციებში.

მაგალითად, გადაწყვეტილებებში ყურადღება არ არის გამახვილებული და არ არის განმარტებული, თუ რატომ მიეკუთვნებოდა ესა თუ ის სატელევიზიო პროდუქცია

[11] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56[2] მუხლის პირველი პუნქტის “დ” ქვეპუნქტი.
[12] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56[2] მუხლის პირველი პუნქტის “გ” ქვეპუნქტი.
[13] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56[2] მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტი.
[14] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56[2] მუხლის მე-2 პუნქტის “ზ” ქვეპუნქტი.
[15] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56[2] მუხლის მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტი.
[16] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56[2] მუხლის პირველი პუნქტის “ლ” ქვეპუნქტი.

კანონით აკრძალულ ცნებებს. არ არის შეფასებული, ზოგადად რას წარმოადგენს, მაგალითად, „სექსუალური სცენის გრაფიკული გამოსახულება“ ან „ძალადობის ამსახველი სცენა ახლო ხედით“, ან „ისეთი ძალადობრივი ან სახიფათო ქმედება, რომლის იმიტირება არასრულწლოვნისთვის იოლია“. კომისია ასევე სათანადოდ არ ასაბუთებს იმას, თუ რატომ არ არის კონკრეტული მასალის აკრძალულ დროს გაშვება გამართლებული კანონით განსაზღვრული <u>მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში.</u> რიგ შემთხვევაში კომისია კანონის ნორმებს განმარტავს ფართოდ ისე, რომ ამ განმარტების ახსნა და დასაბუთება გადაწყვეტილებაში მოცემული არ არის. კანონის განჭვრეტადობის პრობლემასთან ერთად, კომისიის ამგვარი ხარვეზიანი მიდგომა მაუწყებლობებისთვის ართულებს იმის ზუსტად გაგებას, თუ რა ტიპის პროდუქციის გაშვება იზღუდება კანონმდებლობით და წარმოშობს მსუსხავი ეფექტის საფრთხეს მათ გამოხატვის თავისუფლებაზე.

მიუხედავად ამ პრობლემისა, გაანალიზებული გადაწყვეტილებებიდან მაინც იკვეთება გარკვეულ საკითხებზე კომისიის მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტები, რომელთა გამოყოფაც მნიშვნელოვანია, კერძოდ:

- ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის გავლენისგან ბავშვის დაცვის საკანონმდებლო ნორმები არ ვრცელდება მაუწყებლის ეთერში გასულ რეკლამებზე
- კომისიის განმარტებით, დარღვევისთვის გათვალისწინებულ სანქციასთან დაკავშირებით, კანონით მას არ აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, მაუწყებელს მისცეს წერილობითი გაფრთხილება ან გაათავისუფლოს ის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან, არამედ, ვალდებულია გამოიყენოს ჯარიმა კანონით განსაზღვრული ოდენობით
- კომისია აღიარებს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით, ჯერჯერობით არ არსებობს ჩამოყალიბებული სტანდარტები და ტელევიზიებს გარკვეული დრო სჭირდებათ ახალ რეგულაციებთან მოსარგებად, ამიტომაც, ყველა საქმეში იყენებს ჯარიმის მინიმალურ ოდენობას - 2500 ლარს, დარღვევის განმეორების შემთხვევაში 5000 ლარს.
- კომისიის განმარტებით, შეურაცხმყოფელ ლექსიკად არ ჩაითვლება გამოხატვა, თუ იგი გადაფარულია როგორც ხმოვანი, ისე გრაფიკული საშუალებებით
- კომისია განმარტავს, რომ 15 წლამდე არასრულწლოვნისთვის კანონი შეუფერებლად მიიჩნევს სექსუალური აქტის, როგორც გრაფიკულ გამოსახულებას, ისე, მის ვერბალურ აღწერასაც
- თუ პროგრამაში შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენება განპირობებულია პროგრამის პერსონაჟის მახასიათებლითა და ნაწარმოების მხატვრული ღირებულებით, იგი შეიძლება გავიდეს ეთერში, გარდა 12 წლამდე პირებისთვის განკუთვნილი შეზღუდული დროითი მონაკვეთისა
- ბავშვთა მავნე ზეგავლენისგან დამცავი კანონმდებლობა ვრცელდება როგორც პირდაპირ, ისე ჩანაწერის მეშვეობით ეთერში გადაცემულ

ტელერადიოპროდუქციაზე და მოიცავს ნებისმიერი ტიპისა და კატეგორიის პროგრამას

- მაუწყებელი ვალდებულია გაატაროს სათანადო ეფექტიანი და გონივრული ღონისძიებები არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ინფორმაციის ეთერში გავრცელების აღსაკვეთად, როგორც მაუწყებლის წარმომადგენლების (მაგალითად, წამყვანის), ისე მესამე პირების (მაგალითად, რესპონდენტების) მხრიდან.

ავტორი: გიორგი ბერაია

საინფორმაციო მასალა მომზადებულია ევროპული წვლილი დემოკრატიისთვის (EED) მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსი შესაძლოა არ ასახავდეს EED-ს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში გამოთქმულ მოსაზრებებზე და ინფორმაციაზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.